დღეს დარდით შემოვიარე,
იმ დიდი სოფლის ადგილი.
ალბათ იქ ყოფნა ძნელია,
არც აქ ყოფნაა ადვილი.

განმიდექ შაო ფიქრებო,
ამ ბოლო დროს რომ დამჩემდი.
ვაი იქ წამსვლელს თორემ აქ,
თავს გაიტანენ დამრჩენნი.

ყველანი იქ მივბრძანდებით,
ამ წუთისოფლის შვილები
და ჩვენს საფლავზე ირბენენ,
ლამაზი შვილთაშვილები.

მიწისქვეშეთსაც ეტყობა,
ღმერთმა ვინ როგორ დაწერა.
ზოგს ქვა არ ადგას და ზოგსაც,
არ შერჩენია წარწერა.

რკინის კარები შევაღე,
იქვე წევს შოთას მალხაზი.
მარმარილოდან გვიყურებს,
პირმშვენიერი, ლამაზი.

სოსოვ მასეთი სიკვდილი,
ძნელად თუ გამიგიარა.
ოცდაექვსისამ დაგვტოვე,
სოფელს კი დარჩა იარა.

თაქლოვ მე მახსოვს ის წელი,
გულში რომ ცივად დათოვე.
მშობლებისაგან ნაკლულო,
ვერც მომავალი დატოვე.

მოწმენდილ ცაზე გავარდა,
უეცრად მეხისმაგვარი.
სეროჟას ბიჭი ალიკა,
აღარ გვყავს ბიჭი მაგარი.

ცელქო პატარა გურიკავ,
შენს თავს ეს რატომ დამართე.
ამქვეყნიური აღმართი,
იმქვეყნად დაიდაღმართე.

სოფელს უდროოდ დაგვაკლდა,
ვარსკვლავთბიჭუნა ლევანი.
ცივმა სამარემ შეჭამა,

მისი სიცოცხლის მტევანი.

არლონდიჩ შენი სიკვდილი,
ახლაც მგონია იგავი.
აღარ მჯეროდა რომ ჩვენთან,
იყავ თუ აღარ იყავი.

რიჟავ ჩემ გვერდით გაზრდილო,
ძალად მაიკალ თავია.
წახვედი არვინ არ დაგრჩა,
აფსუს, დაგიდგეს თვალია.

შენ ჩემო ზაზავ თმათეთრო,
რა ,,ცუდი,, მძღოლი ყოფილხარ.
დღემდე ვერ გავითავისე,
ისევ ცოცხალი მგონიხარ.

გვერდით მამა გყავს დევკაცი,
ალბათ დაგადგა უმძრახად.
სიცოცხლით გაუმაძღარი,
ახლა კი სძინავს უძრავად.

ვახ დავით კანსტანტინოვიჩ,
რად გაგვიჩინე წუხილი.
შენს თავზეც მალე მოიქცა,
გრიგალნარევი ქუხილი.

ფერო ნათლიავ ვაჟკაცო,
აბა ჩვენთან რა იცოცხლე?
იმ არაკაცმა ვიღაცამ,
ტყვიით მოგისპო სიცოცხლე.

ანზორ ზახარიჩს ვიგონებ,
ფუთი ღვინო რომ დალია.
თავისი დღე და მოსწრება,
ლხენა ქეიფში გალია.

ეჰ ჭრიღოაანთ თამაზავ,
თვალზე მომადგა კურცხალი.
რამდენი წელი გასულა,
რაც აღარა ხარ ცოცხალი.

ქიშვარდას სურათს ვუყურებ,
თვალწინ მიდგება იმწამში.
ადექი სუფრა გაშალე,
რა დაგრჩენია მიწაში.

ჰერო გივიავ მოგხვია,

სიკვდილმა შავი ხელები.
რატომ დატოვე სახლკარი,
ცოლშვილის მონაფერები.

სული ზეცაში მიფრინავს,
ძვლები მიწაში განა შორს.
ტოროლ ბირჟაზე აღარ ხარ,
სეკასაც არვინ თამაშობს.

კიჭავ რა დარდმა შაგჭამა,
გულით და სულით ვაჟკაცო.
ზამთარში ღორს ვერ დაგვიკლავ,
შენ მამაჩემის ძმაკაცო.

ტიკო თამაზავ დაგლანდე,
კვლავ ღვინის ჭიქით ხელშია.
მჯერა რომ მანდაც თამადობ,
ლექსებს ალაგებ ხმებშია.

შენს გვერდით ზეზვა ყოფილა,
ამას ვის ხედავს თვალები.
რატომ შეაღე უდროოდ,
ძიავ იმ ქვეყნის კარები.

აქ განისვენებს მშვიდად წევს,
კოტრანას ბიჭი ჟორჟიკა.
მისი დღეც მალე დაღამდა,
მუხთალმა წააბორძიკა.

ორ წელიწადში ვახტანგაც,
წამოეწია გზაშია.
აქ რომ ძმასავით უყვარდა,
ჩაჯდა იმ ქვეყნის ნავშია.

იქით კოტრანა მარხია,
აქეთ მისი ძმა მწარია.
ვიცი საიდან მოდიხართ,
სოფელ ტკბილ-განამწარია.

გულდარდიანი გიყურებთ,
ცრემლით მევსება თვალები.
ყველას ვერ ჩაგტევთ ამ ლექსში,
თქვენს სულებს ვენაცვალები.

ღმერთო რა მოკლე ყოფილა,
ამქვეყნიური ცხოვრება.
ტანჯულ ხორცს მიწა იბარებს,
სული კი ცაში ცხონდება.

ბოდიში ყველა ვერ გნახეთ,
იმ ქვეყნად გედგათ ნათელი.
მოსაგებებელს მოგაგებთ,
ღვინით და წმინდა სანთელით.

მეც მალე მოვალ მიმიღეთ,
ამასღა გემათხოვრებით.
ბევრი გნახეთ და გახსენეთ,
ალბათ თქვენც გემახსოვრებით...

ზ. მედულაშვილი 06.02.2021.

*** * * * * * * * ღ ვ ი ნ ო * * * * * * * * ***

ღვინით გამნათლეს, ღვინით ვიზრდები,
ღვინო მახარებს, ღვინით ვბერდები.
როცა ხელადა ღვინით სავსეა,
ალბათ სიკვდილსაც არ დავნებდები.

ღვინო იყო და ღვინო იქნება,
ახლაც ღვინოა კაცის სასმელი.
ღვინოს დალევ და სიყვარულის მეტს,
ამ სითხისაგან აბა რას ელი.

ღვინო მწყუროდა, ღვინო დამისხეს,
ღვინო დავლიე, ღვინო შევირგე.
ღვინოს ვმეგობრობ, ღვინოს ვეყმობი,
თუ ღვინით მოვკვდე ღმერთო შემინდე.

ზაზა მედულაშვილი 30.09.2021.

ეძღვნება ძმაკაცებს ვასოს თამადობით.

გულს უხარია კეთილი,
ძმა როცა მივა ძმისასა.
დაილოცება დაჯდება,
კახური ღვინის სმისასა.
ჩაეკვრებიან ერთმანეთს,
ხმა გაისმება ძვლისასა.
სიყვარულს მოწყურებულნი,
სხივებს მოსწყვეტენ მზისასა.
გულს ამოიღებს გაჩუქებს,
არ დაგიფასებს ძვირსასა.
არ გაწყენინებს არაფერს,
ჯავრს არ შაგაჭმევს მტრისასა.

სუფრისა თავში დაჯდება,
როგორც არწივი კლდისასა.
არ გამოტოვებს არაფერს,
ნასწავლსა წინაპრისასა.
ფანდურზე ჩამაამღერებს,
ნაფოტისას და წყლისასა.
თავისი ენით გადმოგცემს,
სიტყვას არ იტყვის სხვისასა.
ადგება სუფრას გახედავს,
თვალითა შევარდნისასა.
ალბათ ბევრი აქვს სათქმელი,
კბილებს ილესავს მგლისასა.
შემდეგ კი რიხით დაიწყებს,
ლექსებსა თამადისასა.
ჩაარაკრაკებს სტრიქონებს,
იტყვის მიწის და ცისასა.
მემრე პატარებს უამბობს,
ვაჟა ფშაველას შვლისასა.
სულხანის იგავს მოჰყვება,
მელიისას და თხისასა.
კვლავ გაიხსენებს ძველ ამბებს,
გადახდილს დიდი ხნისასა.
მეგობარს მივა ალავერდს
და მხარს მიადებს მხრისასა.
ყანწებსაც ჩაეჭიდება,
ვით ვადას ფრანგულისასა.
სიტყვა პასუხით ედრება,
პაპის ხანჯლისა ფხისასა.
დიდხანს იმღერებს ილექსებს,
ცეკვას დაუვლის წრისასა.
მემრე ფიალით დალოცავს,
სარჩოს ოჯახის წლისასა.
ანეგდოტებსაც მოჰყვება,
დედამთილის და რძლისასა.
გვაცინებს გვამხიარულებს,
არ გააჩუმებს პირსასა.
ბოლოს სტუმრებსაც დალოცავს,
ყველას და ყველა გზისასა.
დიდს და პატარას უსურვებს,
სახლში მშვიდობით ძილსასა.
სალოცავებსაც ადიდებს,
ნაკურთხი წყლითა ქვისასა.
მაღალი ღმერთი გფარავდეთ
და ძალა ვაზის ჯვრისასა.
ზ. მედულაშვილი 29.09.2020.

🌲🌲🌲🌲🌲 თ უ რ მ ე 🌲🌲🌲🌲🌲

თურმე ცეცხლი და კი არა,
მზემ გაახილა თვალები.
მთვარე ცის კიდეს გადასცდა,
ნაგორავ-ნაბურთავები.

წამოეპარათ დღის შუქი,
გაქრა ვარსკვლავთა ციალი.
ქარი მთებს დაუჭერია,
ნუღარც მოსულა ტიალი.

მინდორს მალამოდ ედება,
დილის სიგრილე ლაკბისა.
ცაში ტოროლას გალობა,
ყურმა არც მოინაკლისა.

დაპურდა ურო ბალახი,
მწყერმაც იქ გადაინაცვლა.
გამხმარი ძურწის თესლები,
მუცელში გადაიმარცვლა.

შეჯგუფებულან მერცხლები,
ტკბილ ხმაზე ნაჭიკჭიკებნი.
მუხას შემოჯდნენ ქედნები,
ჩიჩახვებ განატიკნები.

ოფოფნიც შეგროვებულან,
თავსავარცხელა ყრილობით.
ლამაზმა კვირიონებმა,
გადაიფრინეს ,,კვი,,- რობით.

ძველ ნაგზაურზე შევნიშნე,
გვრიტი აფრინდა ორ-ორი.
შორიდან ზვერავს საკბილოს,
ქორი, ძერა და ოლოლი.

ცას სერავს ჟივილხივილით,
ნამგალას ნამგალკუდობა.
გამრავლდა, გაათასმაგდა,
ყველა ფრინველთა ბუდობა.

სიცარიელე იგრძნობა,
როს ფეხი შევდგი ნამკალში.
რიგი თბილ ქვეყნად მიფრინავს,
რიგი აქ რჩება ზამთარში.

რთულია ემიგრანტობა,

წინ დიდი გზა აქვთ სავალი.
მრავალი მტერი სდარაჯობთ,
ზოგჯერ არარი სამალი.

რას ვიზამთ ასე ყოფილა,
ცხოვრება მრავალთვლიანი.
ყველა სულიერს ეკუთვნის,
სიცოცხლე სამართლიანი.

ზაზა მედულაშვილი 04.09.2022.

🌷💖🌷 **მ ე უ ღ ლ ე ს** 🌷💖🌷
****

ხარ დედოფალივით გაზაფხული,

უფრო აპრილის თვეს გავხარ ჩემო.

გიცქერ და მინდა ჯერ არნახული,

მომავლის წამი აქ შევაჩერო.

დედა მნათობი როგორც ზაფხული,

მოგევხარ სხივებს აგვისტოს მზისას.

როს გავლებული მიწაზე ხნული,

ფარავ სიძნელეს სავალი გზისას.

ხარ დედაბოძი ვით შემოდგომა,

გადაბადრული ოქტომბრის მთვარე.

ამოვირჩიე ხატის წინ დგომა,

შენი სახელის მლოცველი ვარ მე.

როგორც ზამთარი ხარ დედაკაცი,

თებერვალივით თავნება ქარი.

სამართლიანი და ზოგჯერ მკაცრი,

რაც მთავარია ერთგული ქალი.

ოთხივე დროის გაქვს ფერთა გამა,

თორმეტი და-ძმის ნაზავი ერთად.

მე როგორც კაცი, ოჯახის მამა,

შვილების დედას მიგიჩნევ ღმერთად...

💗💗💗💗💗💗💗💗💗💗💗💗💗💗💗

ზაზა მედულაშვილი 13.08.2023.

🌿🌿🌿 ლ ა კ ბ ი ს პ ი რ ე ლ ი 🌿🌿🌿

🍂🍁🍂🍁🍂🍁🍂🍁🍂🍁🍂🍁🍂🍁🍂

ლ - აკბის ნაპირებს შევეზარდე ჩემი
 სიყრმიდან,
ა - მიტომაა სულს რომ მითბობს ტყეთა
 მშვენება.
კ - ვალს მოვდევ დიდი წინაპრისას მისი
 სიღრმიდან,
ბ - უნება მიყვარს, მის გარეშე რა
 მეშველება.
ი - გია კალმის, მუზების თუ რითმების
 მუხტი,
ს - აწერად მიხმობს მე დროდადრო
 ტბები და ხევი.
პ - ირადად ლაკბეს, მთელი გულით
 მადლობას ვუხდი,
ი - რგვლივ ყველაფერს ამჩნევია აქ
 ღმერთის ხელი.
რ - ოს გაზაფხულით დაწყებული
 მთავრდება ზამთარს,
ე - რთნაირი აქვს სილამაზე ყველა
 დროს სივრცის.
ლ - აკბისპირელად ჩავეწერე დღეიდან
 დავთარს,
ი - მედის ძალამ მადლმოსილი სიკეთე
 იცის...

🌿🍁🍂🌿🍁🍂🌿🍁🍂🌿🍁🍂🌿🍁🍂🌿

ზაზა მედულაშვილი ლაკბისპირელი
20.08.2023.

✨✨✨ ცხოვრებას ვეჭიდავები ✨✨✨

ცხოვრებას ვეჭიდავები,
ხან მე წავაქცევ, ხან ისა.
ცდილობს რომ წელში გამტეხოს,
ძალს აქეთ მე ვარ, ძალს ისა.

ხან ვნაღვლიანობ, ხან ვხარობ,
თუ რამემ გამახალისა.
არც დღევანდელ დღეს ვემდური,
იმედიც მავსებს ხვალისა.

მაქვს სილამაზის შეგრძნება,
ღვთიური მთის და ბარისა.
დღისით მზე მიყვარს საცქერლად,
ღამე კი სავსე მთვარისა.

მინდა რომ გვყავდეს შვილები,
არ მოსაკლებნი ჯანისა.
არ მაცქერალნი სხვის ხელში,
უცხოთა სავსე ჯამისა.

მინდა მომავალ თაობას,
რწმენა რომ შერჩეს ჯვარისა.
იყვნენ ერთერთი რიგითნი,
სამშობლოს დამცველ ჯარისა.

მინდა რომ საქმე ფასობდეს,
არ მინდა სიტყვა ჩვარისა.
არ მინდა ჩემი ქვეყანა,
გადახურული ჩალისა.

ცხოვრებას ვეჭიდავები,
ხან მე წავაქცევ, ხან ისა.
ჩემი გლეხური ტვინით და
რქებით ვაწვები ხარისა...

ზ. ა. მედულაშვილი 11.08.2022.

°°°

თან დაგვყოლია ტირილი,

ღმერთს ასე დაუწესია.

ვერას წაგვართმევს სიკვდილი,

რაც გზა-გზა დაგვითესია.

°°°

==========

,,ვფიქრობ და ვერა გავუგე,

ამ გადარეულ ბუნებას.

ხან ძაან კარგად გვექცევა,

ხანდახან გვირევს გუნებას.

აკეთებს იმას როგორც სურს,

ნაჩვევი თავისუფლებას.

და სამბრძანებლოდ იტოვებს,

ამ ქვეყნად თავის უფლებას,,

==========

&&&&&&&&&&&&&&&&&&&&&&&&

,,ვიღვიძებთ დილით,

მომავლის ხიბლით.

ვხალისობთ ლხინით,

მაცდური ხილით.

ვმუნჯდებით ტვინით,

ვწუხდებით, ვტირით.

ვეცემით ჭირით,

ვმაღლდებით კვირით,,

&&&&&&&&&&&&&&&&&&&&&&&&

==========

,,ენით, მამულით და რწმენით,

ქვეყანავ სამ ,,მძივიანო,,

მრავალი ჭირის დათმენით,

გმირებით სამძიმრიანო.

ხან თუ ერთურთის ხოცვამდე,

ხან კი ერთობით ძმიანო.

მიყვარხარ სულით ხორცამდე,

მიწავ წინაპართ ძვლიანო,,

==========

&&&&&&&&&&&&&&&&&&&&&&&&&&&&

,,მხიბლავს ჯაჭვური რეაქცია მე ამ ცხოვრების,

მხიბლავს ჩემებთან ერთად ყოფნა თანაცხოვრების.

მხიბლავს სითბო და სიხარული ირგვლივ სწორების,

მხიბლავს თუ დადგა დრო ცოდვილი სულის ცხონების,,

&&&&&&&&&&&&&&&&&&&&&&&&&&&&

ზაზა მედულაშვილი 03.07.2023.

მეამაყება რომ ვარ გლეხი, ვცხოვრობ გლეხურად,
გლეხის ოჯახში გამოზრდილი გლეხური ყოფით.
ჩემი სიმდიდრე ეს ხალხია, ეს მიწაწყალი
და ამ მიწასაც ვალამაზებ ჩემი აქ ყოფნით.
ვცდილობ ლექსებით ჩემი ქვეყნის ვიყო მეხოტბე,
ვიცი სიმღერა, ცეკვაც ვიცი მხოლოდ ცერული.
გლეხურად მინდა გავაგრძელო ჩემი ცხოვრება,
მამა პაპათგან ნასწავლი და გადმოცემული.
ამ მიწას ვეტრფი, სადაც ვაზი უდგას მამაჩემს,
რომელ მიწაზეც ჩემს წინაპარს სისხლი უღვრია.
ამ ვაზის ძირას, დღესაც ვხედავ ჭარმაგ პაპაჩემს,
ყველა მათგანთან სათითაოდ ჩოქვით უვლია.
გლეხურ ცხოვრებას არ ვთაკილობ არ ვემდურები,
მაგრამ მდიდრული ოცნებებით ღმერთთან ავდივარ.
ალალი შრომით ოფლნადენი ვათენ ვაღამებ
და ლაღად ვსუნთქავ ჩემს მიწაზე როცა დავდივარ...
ზ. მ. 29.06.2020.

⚔️GE👊GE👊GE **ჩ ე მ ი** GE👊GE👊GE⚔️

****

თვალები ჩემი ჰორიზონტად გასდევენ მთათა,

ძალები ჩემი უძლურია მრისხანე ზვავთა.

ფიქრები ჩემი აღმაფრენად ადიან ცათა,

ფიანდაზებად დაჰფენია ვარდები ბართა.

ეს გული ჩემი ვერ იოკებს სიყვარულს ძმათა,

გრძნობები ჩემი ეჯაჭვება სამყაროს ძალთა.

ხარობენ ჩემი იმედები მომავალ ჟამთა,

წარსულის ექო თან მომყვება დღევანდელ გზათა.

გუთანი ჩემი მომართულა კვლავ მიწის ხვნათა,

წინაპრებს ჩემი გავუგზავნე ხსენება ძვალთა.

ცრემლები ჩემი ასველებენ მათ საფლავს ქვათა,

ჩამესმის ყურში მათი დროის ჟღარუნი ხმალთა.

საქმენი ჩემი მიმყოლია დედ-მამის კვალთა,

ჯეჯილი ჩემი დაპურდა და მოსულა მკათა.

სიცოცხლე ჩემი უკან მიდის წუთიდან წამთა,

სიმართლის სხივი შემოჭრილა ამ სულში ღრმათა.

სახელი ჩემი მიმინდვია ალალად სხვათა,

ნაბიჯი ჩემი შემიდგია მრავალთა კართა.

ხელები ჩემი აღმიპყრია დარეკვად ზართა,

უფალო ყველას დაგვაფერთხე სიკეთის კალთა.

****

ზაზა მედულაშვილი 27.06.2023.

ვარ ჩემი ქვეყნის მეხოტბე,
ლამაზი მთის და ბარისა.
თუ ვუღალატო როდისმე,
უმალ სიკვდილი მაღირსა.
სასიქადულო შვილი ვარ,
მშობელ დედის და მამისა.
მათი რწმენა და იმედი,
სხივი მზისა და მთვარისა.
ხალხში ამაყად დავდივარ,
სახელით დიდი პაპისა.
გვარიშვილობით ქართველი,
სისხლით კახური ძარღვისა.
ხანდახან დიდი მუზა ვარ,
მამაჩემისა კალმისა.
მეც მიყვარს ლექსი სიმღერა,
არ ჩამოვრჩები არვისა.
ხანდახან შევარდენი ვარ,
დაცემა მტრისა კარვისა.
სული მაქვს ფოლადნარევი,
ქართული ხმლის და ფარისა.
ამ ქვეყნის ჯარისკაცი ვარ,
დამცველი დროშა ალმისა.
მორწმუნე ქრისტიანი ვარ,
მატარებელი ჯვარისა.
ვარ ბრძოლის ჟინით გამტანი,
წინაპრის სწორი კვალისა.
ნუთუ არ გესმით ქართველის,
ძგერა ამ გულის კარისა.
ვარ ჩემი ჯიშის, ჯილაგის,
სინათლე ორთავ თვალისა.
იმედი ჰქონდეს სამშობლოს,
ბევრისა ჩემისთანისა...

ზ. მედულაშვილი 28.10.2020

********** **ნოემბერი** **********

მესამე თვეა შემოდგომისა,
ნოემბრის დილა ვეღარ წერს ნოტებს.
სიო თანდათან გადადის ქარში,
ხმელი ფოთლები ტოვებენ ტოტებს.

კავკასიონს კი როგორც მოხუცი,
შემოჰპარვია სითეთრე თმებში.
იქ უკვე ზამთრის კანონი მეფობს,
იდუმალება ჩამდგარა მთებში.

ყინვამ წაფერფლა ბალახი ნორჩი,
დაუფარია ხევები ნისლებს.
მზემ თუ აქა იქ გამოანათა,
მაინც ვერ ისვრის მცხუნვარე ისრებს.

ცად მიბნედილა ყვითელი მთვარე,
უამრავ ვარსკვლავს უყვება ზღაპრებს.
ამთქნარებს, მაგრამ არ გამოტოვებს,
წარსულის მრავალ გადახდილ ამბებს.

აღარ ხმაურობს მიწყნარდა ქუჩა,
თბილად ჩაიცვეს, პატარებს სცივათ.
არ ჰგავს ზაფხულის საამო ჟუჟუნს,
წვიმის წვეთებიც მოდიან ცივად.

წინ გველოდება ზამთარი ცივი,
ყინულის ხანჯლებს ვიხილავთ მალე.
მთავარია, რომ ვიყოთ ჯანმრთელად,
დღე გაგვითენდეს ლამაზად ხვალე...

ზაზა მედულაშვილი 08.11.2021.

😪 😪 😪 აქ სულ სხვაა 😪 😪 😪

გარდაცვლილთა სული ცხონდეს,

ცოცხალმა კი ცრემლი ღვაროს.

მოვკვდე როცა უფლის ნებით,

მეც ეს მიწა მომეყაროს.

გადავხედე დღეს ჩემს სოფელს,

ამ სამყაროდ საცოცხლებელს.

გადავხედე მის ქვეშეთსაც,

ჩვენსას ბოლო საცხოვრებელს.

აქ სულ სხვაა შემოდგომა,

ფოთოლცვენაც სხვაგვარია.

ხსოვნა ჩვენი წასულების,

ცოცხლად მყოფებს გვავალია.

აქ სულ სხვაა მარტოდ ყოფნა,

შავი ფიქრის ხარ აჩრდილი.

როს თვალებზე გეჭიდება,

სასაფლაოს ქვათა ჩრდილი.

აქ სულ სხვაა შიშის სუსხი,

სხვანაირად ებრძვი ქარებს.

სანთლით ხელში გამოაღებ,

ეკლესიის ვიწრო კარებს.

აქ სულ სხვაა მიწის სუნი,

მუქი არის ზეცის ფერი.

მოატარებ ირგვლივ მზერას,

არ შეგრჩება გული მთელი.

აქ სულ სხვაა რეალობა,

წარსულის კი განცდა სრული.

ცხოვრებისგან მიღებული,

ჭრილობაა ღრმა და რთული.

აქ სულ სხვაა გლოვის ზარი,

სულის ყინვა წინ შემხვედრი.

ჭირისუფლის ჭირის თმენა,

მწარე გზა და მძიმე ხვედრი.

აქ სულ სხვაა სინამდვილეს,

აყოლილი ყურთა სმენა.

აქ სულ სხვაა დამიჯერეთ,

ღმერთისადმი დიდი რწმენა.

იქ წამსვლელთა სული ცხონდეს,

აქ დამრჩენმა ცრემლი ღვაროს.

მოვკვდე როცა უფლის ნებით,

მეც ეს მიწა მომეყაროს...

****

ზ.მ. ლაკბისპირელი 24.11.2023.

⚔ მე ვარ ავი მუსაიფი ⚔

მე ვარ ავი მუსაიფი,
   კახთ ბატონის ირაკლისა.
არ დამჩოქი ძლევამოსილ,
   შაჰ-აბასის ირანისა.

დავიბადე სამჭედლოში,
   აღსადგენად მშვიდობისა.
იქ ვიყავი სადაც მცემდა,
   მძაფრი სუნი ღალატისა.

გამოვიწრთე კაცის ხელში,
   სულით მტკიცე სალი კლდისა.
არც მეტი და არც ნაკლები,
   ვადით პატიოსან თვლისა.

ვიყავ ცივი, არ ვიცოდი,
   სითბო ჩემი ქარქაშისა.
ცეცხლის ალებს ვაკვესებდი,
   ყველას ვცემდი ზარს და შიშსა.

სულ თან ვახლდი პატრონს ჩემსას,
   გზად დამთესად სიკვდილისა.
ვიყავ მისი ერთგული და
   არ მჭამელი სირცხვილისა.

საკუთარ თავს არ ვჩიოდი,
   ჯავრი მქონდა მუდამ სხვისა.

ორგულთ ბევრჯელ გავუსტუმრე,
   ,,ვალი,, დიდზე დიდი ხნისა.

ვნახე ბევრი გაჭირვებაც,
   კვნესა ბარისა და მთისა.
ზვრები ცეცხლში გახვეული,
   ქართლისა თუ კახეთისა.

რა არ ვნახე უნახავიც,
   ქიშპი ძმიდან თავის ძმისა.
ბევრს ავუგე ,,წეს-ანდერძი,,
   სხივი მოვანატრე მზისა.

სისხლით ვწერე ისტორია,
   ჩემი დროის ჟამთა სვლისა.
ბევრი თეთრი ღამისა და
   ცრემლიანი შავი დღისა.

სანამ ვჭრიდი ვიყავ მცველი,
   ქრისტესა და ნინოს ჯვრისა.
ალავერდის მადლი მომდევს,
   რწმენა დავით გარეჯისა.

ვიყავ მცნობი: წინ მებრძოლნო,
   შეძახილის მჭახე ხმისა.
მაგრამ დღემდე სინანულად,
   მომდევს მარცხი კრწანისისა.

მე ვარ ავი მუსაიფი,
   კახთ ბატონის ირაკლისა.
ერთიანად შემმუსვრელი,
   საქართველოს ყველა მტრისა.

მეფე მშვიდად განისვენებს,
   საფლავს სვეტიცხოვლის ქვისა.
მე მუზეუმს დამაბრძანეს,
   თვალსაჩინოდ ქვეყნისთვისა.

⚔⚔⚔⚔⚔⚔⚔⚔⚔⚔⚔⚔⚔

ზ.მ. ლაკბისპირელი 30.11.2023.